HARVARD SUMMER SCHOOL

ჰარვარდის უნივერსიტეტის ზაფხულის სკოლა
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში
ივნისი-აგვისტო 2016

ჰუმანიტარული მეცნიერებების მნიშვნელობა სამყაროს შეცნობისა და მომავლის განჭვრეტისთვის განუზომელია. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კულტურის, ენის, ისტორიის, ხელოვნების, რელიგიის, პოლიტიკის შესწავლა გვეხმარება ამ ქვეყნების არსის გაგებში და მათთან დაახლოებაში. ამ და განათლების სფეროში მიმდინარე გლობალური პროცესების გათვალისწინებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მასპინძლობას გაუწევს ჰარვარდის უნივერსიტეტის სლავისტიკის დეპარტამენტის ზაფხულის სკოლას, რომელიც გაიმართება 13 ივნისიდან 12 აგვისტომდე.

ზაფხულის სკოლის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვევა 20-მდე სტუდენტი, რომლებიც კავკასიის და მიმდებარე ქვეყნების კულტურას, ისტორიას, ლიტერატურას და კინემატოგრაფიას შეისწავლიან. ზაფხულის სკოლის მონაწილეებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ჰარვარდის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი წაუკითხავს სალექციო კურსებს ისეთ თემებზე, როგორებიცაა: საქართველოს ისტორია და პოლიტიკა, არქიტექტურა და ურბანული მორფოლოგია, ქართული ფილმი, რუსული მხატვრული ლიტერატურა კავკასიის შესახებ. სტუდენტებს ასევე შესაძლებლობა ექნებათ დახვეწონ ქართული და რუსული ენების ცოდნა.

გარდა სასწავლო აქტივობებისა, პროგრამა მოიცავს ინტენსიურ გაცნობით-შემეცნებით და კულტურულ აქტივობებს ზაფხულის სკოლის მონაწილეებისთვის როგორც თბილისში, ასევე საქართველოს სხვადასხვა ქალაქში.

ზაფხულის სკოლის პროფესორებს შორის არიან:

- **პროფ. სტივენ ჯონსი,** მაუნტ ჰოლიოკის პროფესორი პოსტ-საბჭოთა და პოსტ-კომუნისტური რეგიონის სპეციალისტი. პროფ. ჯონსი თსუ-ის მოწვეული პროფესორია 1990-იანი წლებიდან დღემდე და 2016 წლის მაისში ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო პრემია გადაეცა ქართველოლოგიაში შეტანილი განსაკუთრებული ღვაწლისთვის. ზაფხულის სკოლის ფარგლებში პროფ. ჯონსი 2 კვირიან მოდულს გაუძღვება, რომელიც მიეძღვნება თბილისის და საქართველოს ისტორიულ-კულტურულ საკითხებს.
- **პროფ. ჯული ბაქლერი,** ჰარვარდის სლავისტიკის დეპარტამენტის წარმომადგენელია, ჰარვარდის უნივერსიტეტის რუსულ და ევრაზიულ სწავლებათა ცენტრიდან. მისი ინტერესების სფეროა რუსული ლიტერატურა, 19 საუკუნისა და პრე-რევოლუციური პროზა, დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ლიტერატურა, კულტურული სწავლებანი, სემიოტიკა და დრამატურგიული ხელოვნება, ურბანული სწავლებანი, იმპერიალიზმი და პოპ კულტურა. პროფ. ბაქლერი 3-კვირიან მოდულს შესთავაზებს ზაფხულის სკოლის სტუდენტებს

თბილისის არქიტექტურაზე, კულტურაზე, საქართველოს როლზე საბჭოთა სივრცეში, პოსტ-საბჭოურ ცვლილებებზე რამაც ხელი შეუწყო ინდივიდუალური ურბანული სივრცეების წარმოქმნას.

- **პროფ. სტეფანი სანდლერი** სტუდენტებს შესთავაზებს ლექციათა ციკლს ქართულ ფილმზე და გააცნობს ისეთ რეჟისორებს, როგორებიც არიან: სერგო ფარაჯანოვი, ლანა ღოღობერიძე, თენგიზ აბულაძე. სტუდეტებს ასევე შესაძლებლობა ექნებათ შეადარონ საქართველოში მოღვაწე რეჟისორები და მათ ნამუშევრები რუსულ კინემატოგრაფიას.
- ჰარვარდის უნივერსიტეტის **პროფ. ჯასტინ ვეირი** დაასრულებს პროგრამას 2 კვირიანი მოდულით, რომელიც შეეხება კავკასიური ორიენტალიზმის რომანტიულ ასახვას პუშკინის, ლერმონტოვისა და ტოლსტოის ნაწარმოებებში.
- **პროფ. ოქსანა უილისი,** ზაფხულის პროგრამის დირექტორი და ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორია. ის პროგრამის ფარგლებში გაუძღვება რუსული ენის 9-კვირიან კურსს.

13 ივნისს, 16:00–19:00 საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართება ზაფხულის სკოლის ოფიციალური გახსნა. ღონისძიების მოწვეულ სტუმრებს შორის იქნებიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, აშშ ელჩი საქართველოში, შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორი, ერაზმუს პლუსის ეროვნული ოფისის წარმომადგენელი საქართველოში, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველოს დირექტორი, აირექს საქართველოს დირექტორი, საერთაშორისო განათლების ცენტრის უფროსი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური ტრენინგ ცენტრის დირექტორი და განათლების საერთაშორისო ცენტრის დირექტორი. ღონისძიების ფარგლებში მასპინძელი უნივერსიტეტისა და სტუმრების მისასალმებელი გამოსვლების პარალელურად გაიმართება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქალთა ვოკალური ანსამბლ „გორდელას“ კონცერტი და თსუ-ს ქართულ ფოლკლორულ ცეკვათა ანსამბლის კონცერტი.

ზაფხულის სკოლის კულტურულ-შემეცნებითი მოდულის ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელშეწყობით, ჰარვარდის ზაფხულის სკოლის მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ შეხვდნენ საქართველოს პრეზიდენტს, ბ-ნ გიორგი მარგველაშვილს, საქართველოს პრემიერ მინისტრს, ბ-ნ გიორგი კვირიკაშვილს, მოისმინონ ლექციები საქართველოს საგარეო პოლიტიკასა და ქართული დიპლომატიის ისტორიაზე ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიურ სასწავლო ცენტრში, დაათვალიერონ ხელნაწერთა მუზეუმი, ეროვნული მუზეუმი და ფულის მუზეუმი და გაიარონ მასტერკლასი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.